

ქალაქ ქუთაისში, ჩეხოვის ქუჩა N20 საცხოვრებელი სახლის სამოთახიანი ბინის  
4/5 ნაწილზე, მოქალაქე ინდიკო გვანცელაძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ჩეხოვის ქუჩა N20-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სამოთახში მცხოვრები მოქალაქე ინდიკო გვანცელაძის წარმომადგენლის კახაბერ გელხვიძის განცხადება /2014წ. 02.06 Nგ-4201/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახებზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჩეხოვის ქუჩა N20 საცხოვრებელი სახლის სამი ოთახის 4/5 ნაწილი/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ინდიკო გვანცელაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ჩეხოვის ქუჩა N20 საცხოვრებელი სახლის სამ ოთახიანი ბინის 4/5 ნაწილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ინდიკო გვანცელაძეს /პირადი N60001092889/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ჯ.გოგრიჭიანი/, ქალაქ ქუთაისში, ჩეხოვის ქუჩა N20 საცხოვრებელი სახლის სამოთახიანი ბინის 4/5 ნაწილზე, საერთო ფართობი 38,63 კვ.მ. /საცხოვრებელი ფართობი 38,63 კვ.მ. საერთო შესასვლელი /დერეფანი/ ფართობით 5,63 კვ.მ./ მოქალაქე ინდიკო გვანცელაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი